ხელშეკრულება #50
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი **28 აპრილი 2017 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი **დირექტორის ნინო ქუბინიძის** სახით (**მის:** ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის 5; **ს/კ: 404497790 საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGR22, ა/ა 302007000)

მეორეს მხრივ, **შპს „კოპალა“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი **დირექტორის მირანდა ყვავაძის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, ჩეხოვის 8/10, **ს/კ:206118075;** სს ,,თიბისი ბანკი”, TBCBGE22, ა/ა:GE82TB0700000001467900)

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 31 მაისამდე ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“-ს მიერ მოწვეული სტუმრებისათვის სარესტორნო მომოსახურება (CPV55320000).
1.2. მენიუს შედგენა იწარმოებს ადგილზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს არაუმეტეს **2000.00 (ორიათასი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.
2.3 შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მენიუ-ჩეკის, მიღება-ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მთლიანი ღირებულებიდან აუთვისებელი თანხა არ წარმოშობს მხარეთა შორის დამატებით ვალდებულებებს და ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებად განისაზღვროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა.

4. ინტერესთა კონფლიქტი

4.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2017 წლის 30 ივნისისა.

6. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”:
ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი
დირექტორი

ნინო ქუბინიძე

”მიმწოდებელი”:
შპს „კოპალას“
დირექტორი

მირანდა ყვავაძე